ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1333096

ნომერი: AR1220989

თარიღი : 20.05.2014

გაცემის თარიღი : 17.06.2014

გაცნობის თარიღი : 18.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , "ჩალიპირები" , ნაკვეთი 34/703 / ქალაქი თბილისი , სოფ.დიღომი "ჩალიპირები" / ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ანა მურაჩაშვილი-ონიანი პ/ნ 01024014414
- ქ. თბილისი, ილია ოდიშელიძის ქ. # 78

ორგანიზაცია:
- შპს "ომეგა 2" კოდი: 245422608

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1249336
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 5.05.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზაალ ხვიჩია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ომეგა-2"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 245422608

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ომეგა-2"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 245422608
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ქურდაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 61001002353

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 2533.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1006.5
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1089.2
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 86.9
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 658.4
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 11.5
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 95.4
- .საწარმოო ფართობი (კვ.მ).: 169.2
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 67.8
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7445.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 7445.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 9.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 8.4
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.1
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1006,5. კ1=0.4
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1225.6. კ2=0.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 296. კ3=01

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 20.05.2014 წ №AR1220989 განცხადებით (და განმეორებით 04.06.2014 წ) მომართა ფ/პ ანა მურაჩაშვილმა და დარეჯან კოროშინაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, ,,ჩალიპირები", ნაკვეთი 34/703, ქალაქი თბილისი სოფელი დიღომი ,,ჩალიპირები" / ქალაქი თბილისი სოფელი დიღომი, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.72.14.034.861), მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება.

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების და საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილებისა, ასევე ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.09 წლის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ გათვალისწინებით, 06.06.2014 წ სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა გამოსცა №1315421 ბრძანება, რომლითაც შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. დამკვეთის მხრიდან დოკუმენტაციის ნაწილის წარმოუდგენლობასთან დაკავშირებით, თანახმად საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილებისა, 06.06.2014 წ №1315421 ბრძანების მე-5 პუნქტით დამკვეთს დაევალა:

• 16 ივნისამდე წარმოადგინოთ ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების სამსახურის თანხმობა ხის/ხეების მოჭრა/გადარგვასთან დაკავშირებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრძანება ცნობილ იქნებოდა ძალადაკარგულად.

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 16.06.2014 წ №AR1220989 განცხადებით მომართა

ფ/პ ანა მურაჩაშვილმა და დარეჯან კოროშინაძემ და წარმოადგინა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების სამსახურის თანხმობა ხის/ხეების გადარგვასთან დაკავშირებით

წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ფ/პ ანა მურაჩაშვილმა და დარეჯან კოროშინაძემ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მითითება შეასრულეს დროულად და სრულად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შესრულებულად ჩაეთვალოს ფ/პ ანა მურაჩაშვილს და დარეჯან კოროშინაძეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2014 წ №1315421 ბრძანების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
2. 16.06.2014 წ №AR1220989 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ იქნას მასთან ერთად.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 06.06.2014 წ №1315421 ბრძანებასთან ერთად.
4. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს დამკვეთს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.